

რა საფრთხე ემუქრება ხადას ხეობას სატრანზიტო გზის გაყვანის შემთხვევაში?



გასული წლის ბაფხურში ცნობილი გახდა , რომ ქვეშეთი-კობის გზაზე დაგეგმილია 2 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის – 22.7 კმ. გზის, 6 ხიდისა და 5 გვირაბის , მათ შორის ერთი 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობა. გვირაბი, სოფელ წვერესთან დაიწყება და სოფელ კობთან დასრულდება..

„ქვეშეთი-კობის მონაკვეთი, სატრანზიტო მნიშვნელობის ჩრდილო-სამხრეთის დერეფანის ნაწილია. მამთარში მგავსაშიშროებისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო საავტომობილო მოძრაობა ხშირად იკეტება, ფერხდება სატრანზიტო მიმოსვლა. ახალი გზა მოაგვარებს არსებულ პრობლემებს. პროექტის დასრულების შემდეგ, ქვეშეთიდან კობამდე გადაადგილების მანძილი 12 კმ-ით შემცირდება და 1 საათიანი მგზავრობის ნაცვლად აღნიშნული გზის გავლა 20 წუთში იქნება შესაძლებელი.“– ნათქვამია საქართველოს გზების დეპარტამენტის ინფორმაციაში.

უწყების განმარტებით, გზა გაუადვილებს ადგილობრივ მოსახლეობას კავშირს გარე სამყაროსთან. გზის არსებობამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს მოსახლეობის დაბრუნებას ხეობაში, მცირე ბიზნესის განვითარებას და ხეობის გაცოცხლებას. საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის გიორგი სეთურიძის ინფორმაციით, მეორე ადტერნატიული მიმართულების დამუშავებაც ხდება – მდეთაღან არაგვი

ჰესის მიმართულებით, შემდეგ გვირაბი და გასვლა თრუსოს ხეობაში, სოფელ კობთან.

პროექტის პირველი ტენდერი ჩავარდა, გამოცხადებულია მეორე, რომლის ვადა 2019 წლის 22 აპრილს იწურება. გეგმის თანახმად ახალი გზის მშენებლობა 2022 წელს უნდა დასრულდეს.



ცეცხრიჭვრის კომპლექსი

აღნიშნულმა პროექტმა ადგილობრივ მოსახლეობაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გზის მშენებლობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ეკოლოგიას. საფრთხე ემუქრება სოფლის სახლებს, რომელებიც მეტწილად მშრალი წყობით, ან კირქვით არის ნაგები. რაც ყველაზე მთავარია, საფრთხე ექმნება ხეობაში არსებულ მრავალ ისტორიულ ძეგლს. ხეობა გამოირჩევა მდიდარი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობით – ციხე-სიმაგრებით, ტანწყობილი ბურგიანი კოშკებით, რთური საცხოვრებელი თუ საკურთხ ნაგებობებით. მათი უმეტესი ნაწილი რესტავრაციას საჭიროებს და არა უდიერ მოპყრობას. ხადას ხეობის ერთერთი შესანიშნავი საფორტიფიკაციო ნაგებობის, ცეცხრიჭვრის კომპლექსის (IX-X ს.ს.) კედელზე უკვე გაჩენილია მსხვილი ბზარი და მცირე გეოლოგიურმა აფეთქებამაც შესაძლოა მთლად დააზიანოს.

შეგახსენებთ, 2002 წელს ჩრდილოეთ ოსეთში, კარმადონის ხეობაში ფირმს იღებდნენ, გადამღები ჯგუფი პიროტექნიკას იყენებდა. ფირმის დასრულება ვერ მოხერხდა – ერთ დღიას მყინვარ კოლკას ყინურის გიგანტური მასა მოწყდა და მთრიანი ხეობა დაფარა, ცოცხლად დამარხა სოფლები, სანატორიუმები და ფირმის გადამღები ჯგუფი...

გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტის, ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეები-დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარის, ნინო ჩხობაძის განცხადებით, ეკოლოგიური თვარსაზრისით მთავრობას მაქსიმალურად მიაწოდეს ყველა საჭირო რეკომენდაცია.

„კარგი პროექტია, ჩვენს მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ არის. რაც ეხება უშუალოდ ხადას ხეობას და იქ არსებულ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, იყო დაპარაკი, რომ ძარიან ფრთხილად იმოქმედებენ. მე ვესწრებოდი რამოდენიმეჯერ განხილვებს და ყველა საკითხი, რომელიც ეხება ეკოლოგიურ სფეროს, განხილულია და ჩადებულია პროექტში.“– აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

საპირისპირო აზრს გამოთქვამს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი, მწერალი ვაჟა კაკაბაძე . მისი შეფასებით, ხეობაში მსგავსი პროექტის განხორციელება სასტიკად დაუშვებელია, რადგან ეს მეწყერულ პრცესებს გამოიწვევს. მისი თქმით, პროექტს არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ პოლიტიკური და ეონომიკური ასპექტები ერთვის თან.

„რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი ქვეყნისთვის პოლიტიკური თვარსაზრისით? ცნობილია, რომ საქართველო სომხებისთვის სატრანზიტო გზას წარმოადგენს. ეკონომიკის სამინისტროში ჩემი მუშაობის პერიოდში (1994–95 წ.წ.) ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს, სომხებმა მოითხოვეს გზის გახსნა აფხაზეთის გავლით. მე თვითონ უშუალოდ ვიღებდი ამაში მონაწილეობას, მაშინ მათ უარი ეთქვა საქართველოს მხრიდან. რატომ სურთ სომხებს აფხაზეთის გავლით რკინიგზის გაყვანა? იმოტომ რომ მათ ინტერესები აქვთ აფხაზეთში, ამჟამად ისინი იქ უმრავლესობას წარმოადგევენ. თავისთავად, რუსებსაც აქვს ინტერესები სომხეთშიც და აფხაზეთშიც. რუსეთს სურს თავისი ინტერესები სწრაფად გადატიტანოს სომხეთში.



ვაჟა კავთაბაძე

რადგან ახარა ისევ წამოიჭრა ეს საკითხი და საქართველოს მთავრობამ კვლავ უთხრა უარი სომხეთს, გადავიდნენ ამ პროექტზე. სომხეთის ინტერესი მხოლოდ ეკონომიკურია, ხოლო რუსეთის – როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური. თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ რუსები ყვედრანაირად ცდილობენ, კარგი ურთიერთობა დაამყარონ ირანთან და ყვედრანაირი პირობა შეუქმნეს, რათა ირანს ბირთვული იარაღი ქონოდა. ამგვარად, ირანის დახმარებით თურქეთზე ახდენენ ზემოქმედებას. გარდა ამისა, რუსები ეხმარებიან სომხებს, თავისი ინტერესები განახორციელონ ამგერბაიჯანში, სადაც რამოდენიმე ტერიტორიაზე აცხადებენ პრეტენზიას.

რაც ეხება გეოლოგიურ და ეკოლოგიურ ასპექტს – რაც უფრო მაღლა გავა გზა, მით უფრო მეტ საშიშროებას გამოიწვევს, იმიტომ რომ ხეობაში ისეთი ქანებია განვითარებული, როგორცაა თიხა-ფიქარი, ქვიშიანი ფიქარი, თიხები, რომლებსაათვის დამახასიათებელია წყლის გატარება ანუ უფრო ადვილად ექვემდებარებიან მეწყერურ პროცესებს. რა დიდი კედელი უნდა აშენდეს, რომ დაიცვას ეს მთელი მასა? ძალიან რთულია ამის განხორციელება, მაშინ ქედზე უნდა გაიყვანონ, რაც უფრო ძვირი დაუჯდებათ. შეუსრულებელი პროექტია. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნი და, აქედან გამომდინარე, ობიექტურად ვმსჯელობ – ეს მთავრობა დაიწყებს ამის განხორციელებას და ვერ მოასწრებს. ვთქვამთ, შეიცვარა მთავრობა, და ის დაიწყებს პროექტს, წყარში ჩაეყრებათ ფული.“ – ამტკიცებს ვაჟა კავთაბაძე.

ექსპერტი ყურადღებას კრიმატურ ცვდერებებზეც ამახვილებს და განმარტავს, რომ დასავრეთის ქვეყნებში მსგავსი პროექტების

მომზადებისას ითვარისწინებენ გლობალური დათბობის ფაქტორს. ამის გათვარისწინების გარეშე არ შეიძლება ასეთი პროექტის განხორციელება, ხოლო საქართველოს მთავრობას ამის გაკეთება ემართება.

„სვანეთში მოსახლეობამ არ მისცა ჰესის აშენების უფლება. ჰესების მოწინააღმდეგე არ ვარ, უნდა აშენდეს, მაგრამ მცირე – ხაზს ვუსვამ – მცირე ჰიდროელექტროსადგურები. დიდი ჰესი ბრდის აორთქლების სარკეს, ანუ წაყალი რომ დაგუბდება, აორთქლების ტერიტორია გაიზრდება, და შეიძლება სვანეთში არა, მაგრამ, ვთქვათ, სეტყვის ან წვიმის სახით მოვიდეს კახეთში და გაუნადგუროს გრებს მოსავალი.“

ჟინვარჰესზე წყლის დაგუბება არ შეიძლებოდა, რადგან ამან გაზარდა არსებული მენყერული პროცესები. ასეთივე საშიშროებას შექმნის ეს ახალი პროექტი ხადას ხეობაში.

დევდორაკის ხეობაში რომ დაიწყეს ჰესის მშენებლობა, ესეც შეცდომა იყო. თავის დროზე მე ვმუშაობდი ამ ხეობაში. წყალი რომ დაგროვდებოდა ნიადაგში, მცირე აფეთქებებს ვაწარმოებდით, დაგროვილი ნაშარი ქვემოთ ჩამოდიოდა და წყარს გაქონდა. საბჭოთა კავშირის პერიოდშიც განიზრახეს ხეობაში ჰესის აგება, მაგრამ გეოლოგიური დასაბუთებით იქ მცირეელექტროსადგურის აშენებაც სასტიკად იქნა აკრძალული.



იგივე მინდა ვთქვა ვერის ხეობასთან დაკავშირებით – გეოლოგებმა ოდითგანვე ვიცოდით, რომ იქ მენყერული პირობები იყო, აქაც მცირე

მუხტით ხდებოდა მასის ჩამოშრა, რომელიც ვერეს წაყარს მიქონდა და საშიშროება აღარ იქმნებოდა. ახლა კი არ გაითვადრისწინეს ეს გარემოება, გადაუკეთეს წყარს გზა და წვრილი მიღები ჩაყარეს ვარაზის ხევში. გავა 20–25 წერი და ბუსტად იგივე შაშიშროება შეიქმნება.

როცა თურქეთმა მის ტერიტორიაზე გამავარ მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა დაიწყო, საერთაშორისო მოთხოვნის შესაბამისად, როგორც მეზობელი სახელმწიფო, ჩვენგან მოთხოვა აშენებაზე ნებათვა, რამეთუ იცოდა, რომ ბღვაში ნაშადის ჩამოტანა შემცირდებოდა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ბათუმის მღვის სანაპიროს. ეკონომიკის სამინისტროსგან და უშუალოდ ჩემგან თურქეთის მოთხოვნაზე დაიწერა უარყოფითი დასკვნა, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტროდან (მაშინ მინისტრი იყო ნინო ჩხობაძე) წავიდა დადებითი დასკვნა; და, დღეს უკვე გვაქვს უარყოფითი შედეგები – ყოველი პატარა შტორმის შემდეგ ირეცხება ბათუმის სანაპირო – აი, ეს გააკეთა ნინო ჩხობაძემ.“– აცხადებს ვაჟა კაკაბაძე.

მეცნიერის განმარტებით, ყოველი ტენდერის ჩატარება გარკვეული თანხა ჯდება, აქედან გამომდინარე ერთხელ და ორჯერ ჩატარებული ტენდერით ინტერესს ვუკარგვით ინვესტორს, სახელს ვიფუჭებთ. მისი თქმით, პროექტისთვის განსაზღვრული თანხით საქართველოს სამხედრო გზის ფერლობის გასწვრივ სადრენაჟო სისტემა რომ გააკეთონ და გაამაგრონ კედლები, ბევრად რაციონალური ნაბიჯი იქნება.

„რატომ გააკეთეს საქართველოს სამხედრო გზა იქ, სადაც არის და არა სხვაგან? თავიდანვე ამ საკითზე შეიქმნა ძალიან ბევრი ნაშრომი, ყველაზე კარგი ვარიანტი იყო ეს ადგილი. მაშინ მართლა ინჟინრები მუშაობდნენ, მართლა მიმდინარეობდა შესწავლა. ახლა? არსებობს თანხა, ამ თანხის ათვისება სურთ და სად გაიტანონ არ იციან. კობთან, გვირაბიდან რომ გავდივართ, ტრავერტინებია, რომლებიც რამოდენიმე წლის წინ გადაჭრეს, ეს უდიდესი დანაშაულია. ეს რომ გაიგოს მსოფლიოს ბუნების დაცვის სამოგადოებამ, დააჯარიმებენ ამ იდიოტებს. ტრავერტინების ჩამოყარებებს წლები სჭირდება. მათი დაზიანება დიდი შეცდომა იყო და ახლაც უშეველებენ შეცდომას ჰადას ხეობასთან მიმართებაში. დარწმუნებული ვარ, გეოლოგიური კვლევა ჩატარებული არ არის.

იღია ჭავჭავაძეს რა აქვს ნათქვამი – ვისაც თავისი წარსული დავინწყებუღია აქვს, მას მომავალი არ ექნება. არ შეიძლება წარსულის განადგურება. ასეთი კოშკების, ეკლესიების დანგრევა და მოსახლეობისთვის რთული პირობების შექმნა. ამ წარსულზე იზრდება ჩვენი მომავალი თაობა. ყოველთვის გური მწყდება, რომ ვხედავ უინვარჰესში ჩაძირულ ეკლესიას.

რაც შეეხება ხეობაში არსებული ოქროს შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, არა მგონია იქ იყოს ოქროს საბადო, თუმცა მცირე გამოვლინება სხვადასხვა გეოლოგიური საბადების არის დაფიქსირებული.

ჩემი პირდაპირი თხოვნაა მთვარობის მიმართ – თუ ამდენი თანხაა გაგაჩნიათ, ააშენეთ საწარმო ხადას ხეობაში, სადაც ადამიანები დასაქმდებიან და მიიღებენ გარკვეულ შემოსავალს, წერში გაიმართებიან. მთავრობას, პარლამენტს ირჩევს ხარხი და ვარდებუღნი არიან ემსახურონ ხარხს და არა თავიანთ ინტერესებს.“– აცხადებს ვაჟა კაკაბაძე.

ასმათ ჭადმაიძე

www.premiumi.ge